ეს მასალები მომზადდა, მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში, როგორც „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტუქტურის განვითარების მეორე პროექტის“ (SRMIDP) შემადგენელი ნაწილი.
„რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტუქტურის განვითარების მეორე პროექტი“-განხორციელდა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.

სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვის და კაპიტალური საინვესტიციო საკითხებზე ტექნიკური მხარდაჭერა განახორციელა ნიდერლანდურმა კომპანიამ „Ecorys b.v.“, ქართულ კომპანიებთან ერთად „PMCG“ და „გეოგრაფიკი“, კონსორციუმის ფარგლებში.

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრეინინგები მცირე ჯგუფებში (კლასტერებში) 2017 წლის მარტიდან 2019 წლის ივნისამდე პერიოდში.

**კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის ჩატარებული ტრეინინგების ჩამონათვალი**

**(სწავლება 1-11)**

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის სასწავლო გეგმა მოცემულია ქვემოთ.

შესაბამისი ტრეინინგის ფაილი განსხვავებული ფორმატით არის წარმოდგენილი.
წინასიტყვაობა
მოდულარული ტრეინინგი: ზოგადი მიმოხილვა და ტრეინინგების სასწავლო გეგმა

1. ინსტრუმენტები კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვისთვის
2. ინსტრუმენტები კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვისთვის -გაგრძელება
3. **კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის პროცედურა**
4. პროექტის კონცეფციის ბარათი – პრაქტიკული სავარჯიშო
5. პროექტის კონცეფციის ბარათი – პრაქტიკული სავარჯიშო -გაგრძელება
6. პროექტის კონცეფციის ბარათების შეფასება – პრაქტიკული სავარჯიშო
7. საპროექტო წინადადებები
8. საპროექტო წინადადების შეფასება. ვარიანტების ანალიზი. როგორ შევადაროთ პროექტის განხორციელების გზები.
9. საპროექტო წინადადების შეფასება. ვარიანტების ანალიზი. როგორ შევადაროთ პროექტის განხორციელების სხვადასხვა გზები. საპროექტო წინადადებების შეფასება. დისკონტირება და პროექტის შესრულების ინდიკატორები.
10. საპროექტო წინადადებების შეფასება. ხარჯი-სარგებლის ანალიზი
11. კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის პროექტების შერჩევა

** პრეზენტაციების მასალების გარდა, ხელმისაწვდომია კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის სახელმძღვანელო*

# კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვა

*კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის პროცედურა*






*რაფალ შპორკო*
*რატი გაბრიჩიძე*

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების
ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება
სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური
საინვესტიციო გეგმების შემუშავების კუთხით

# შესავალი დისკუსია

## აღწერეთ თუ როგორ ხდება სამოქმედო გეგმის/კაპიტალური საინვესტიციო გეგმის მომზადება თქვენს მუნიციპალიტეტში

დისკუსია

1. ვინ არის პასუხისმგებელი დოკუმენტის მომზადებაზე?
2. ვინ არის ჩართული ამ პროცესში?
3. ვინ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას?
4. გაქვთ თუ არა შუალედური ნაბიჯები ამ პროცესში?
5. როდის ხდება ამ ნაბიჯების შესრულება?
6. გაქვთ გაწერილი პროცედურა? თუ ეს პროცესი მიმდინარეობს სტანდარტულად, ზეპირსიტყვიერად?
7. ყოველ წელს ერთნაერია ეს პროცესი? თუ იცვლება წლიდან წლამდე?



## რა ძლიერ და სუსტ მხარეებს ხედავთ თქვენი მუნიციპალიტეტის მიერ სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში?

# CIP პროცედურა - მონახაზი



# რატომ გვჭირდება გაწერილი პროცედურა?

ხალხს არ უყვარს გაწერილი პროცედურები. „დამატებით ბიუროკრატიას ქმნის" - ასე ამბობენ.

## რა კუთხით შეიძლება დაგვეხმაროს პროცედურა?

- იგი აღწერს მიზნის მიღწევის საუკეთესო მეთოდს (საუკეთესო სტანდარტი).
- იგი ეხმარება თანამშრომლებს თავიანთი როლის სრულ და მკაფიო გაგებაში.
- სტანდარტები (პროცედურები) გვეხმარება შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი შრომის შედეგები.
- სტანდარტები გვეხმარება პროცესის კონტროლსა და ანალიზში.

პროცედურა = საუკეთესო სტანდარტები

# რა საკითხებს ეხება პროცედურა?

## მნიშვნელოვანი ელემენტები

**CIP პროცედურა...**

... განსაზღვრავს პროცესის მონაწილე პირებს:

- CIP კოორდინატორი
- აპლიკანტები
- CIP სამუშაო ჯგუფი
- დეპარტამენტები/სამსახურები

... ასახავს თითოეული ნაბიჯის ვადებს

... შეიძლება განსაზღვრავდეს საჯარო კონსულტაციების გზებს / სახეობებს

... განსაზღვრავს კოოპერაციის წესებს და საქმის წარმოებას / ნაბიჯებს

... განსაზღვრავს მნიშვნელოვანი დოკუმენტების ფორმატს

# პროცედურის მაგალითი (I)

## რეზოლუციის ტექსტი



- პროცედურა შეიძლება იქნას მიღებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეზოლუციის ფორმით
- შინაარსი უნდა მოიცავდეს:
  - რეზოლუციის მიზანს
  - ტერმინთა განმარტება

ყველაზე მნიშვნელოვან ტერმინთა განმარტება

- კაპიტალური საინვესტიციო გეგმის შინაარს

რა უნდა იქნას შეტანილი საბოლოო დოკუმენტში

# პროცედურის მაგალითი (II)

## რეზოლუციის ტექსტი

- მოქმედი პირები აღნიშნულ პროცესში

კაპიტალური საინვესტიციო გეგმის (CIP) მომზადებაში ჩართული ძირითადი პირების / განყოფილებების და პროცესში მათი როლის აღწერა

- პროექტის იდეების წარდგენასთან დაკავშირებული ძირითადი წესები

აღნიშნული ეხება პროექტის კონცეფციის ბარათების (Projects Concept Notes - PCN) სახით წარმოდგენილ სამომავლო პროექტებზე  და საპროექტო წინადადებებზე (Project Proposals - PP) ინფორმაციის შემოდინებას



# Example of the procedure (III)

## რეზოლუციის ტექსტი

- კაპიტალური საინვესტიციო გეგმის (CIP) სამუშაო გრაფიკი

ეს არის ეტაპობრივი პროცედურა, რომელიც ცხრილის სახით წარმოადგენს პროცესის თითოეულ ფაზას / სტადიას, პასუხისმგებლობებს და ვადებს.

- საბიუჯეტო წლის მანძილზე კაპიტალური საინვესტიციო გეგმის (CIP) განახლება

აღწერს თუ როგორ და როდის ხდება CIP-ის განახლება წლის მანძილზე.

- კაპიტალური საინვესტიციო გეგმის (CIP) ახალი რედაქცია / გამოცემა

აღწერს, თუ როგორ უნდა მომზადდეს და დამტკიცდეს CIP-ის ახალი რედაქცია / გამოცემა



**ეს მხოლოდ მაგალითია !!!**

# შესასრულებელი ამოცანები!

მოამზადეთ / მოარგეთ CIP პროცედურა თქვენს მუნიციპალიტეტს.

იმუშავეთ ჯგუფურად.

მიყევით აღნიშნულ შაბლონს ან შემოგვთავაზეთ საკუთარი იდეები.

# გმადლობთ ყურადღებისთვის!